



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის
სამაგისტრო პროგრამების განხორციელების წესი

გორი
2017 წელი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სამაგისტრო პროგრამების განხორციელების წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს აკადემიაში სამაგისტრო პროგრამების განხორციელებას, აგრეთვე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. მაგისტრატურის დანიშნულება და მიზანი

1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს.
2. მაგისტრატურა მიზანად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას და ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

მუხლი 3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება

1. აკადემიაში მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
3. მაგისტრატურის იუნკერის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა რეგულირდება აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 4. მაგისტრატურაში ჩარიცხვის პირობები

1. მაგისტრატურაში მიღება ცხადდება მხოლოდ ავტორიზებული/აკრედიტებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე იუნკერის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებს.
3. აკადემიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ზე ჩარიცხვა წარმოებს წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში კონკურსის წესით.

მუხლი 5. მობილობა

აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე მობილობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა.

1. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) – საგანმანათლებლო პროგრამა, მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;
2. სამაგისტრო პროგრამებზე 120 კრედიტი გადანაწილებულია 2 სასწავლო წელზე.
3. პირველ წელს იუნკერის წლიური დატვირთვაა 72 კრედიტი/1800 საათი.
4. მეორე წელს იუნკერის წლიური დატვირთვაა 48 კრედიტი/1200 საათი.
5. საგანმანათლებლო პროგრამები შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

6. შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი აღემატება არჩევითი სასწავლო კურსებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.

7. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტის მოცულობით.

8. აკადემიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება მინიმუმ 120 კრედიტის დაგროვების შედეგად.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომი.

1. აკადემიაში სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, დაცვის და შეფასების საკითხები რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციით და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით.

მუხლი 8. სწავლის შედეგების შეფასება

1. იუნკერის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის N1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია“ შესაბამისად;

2. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

3. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

5. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

6. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.. შეფასება ითვალისწინებს:შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

7. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში;

8. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში.
9. სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 51%.
10. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 45% (45 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.
11. კონკრეტული სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპონენტის განმახორციელებელი/სილაბუსის ავტორი უფლებამოსილია სასწავლო კურსის სილაბუსში დაადგინოს მოცემული წესისაგან განსხვავებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შემდეგი მოთხოვნის დაცვით: დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. შესაძლებელია შეფასების კომპონენტშიც განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
12. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
13. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომიან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც იუნკერი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.
14. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
15. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
16. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, იუნკერს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
17. იუნკერის შეფასება რეგულირდება აკადემიის უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 9. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები.

კურსდამთავრებულის კომპეტენციები. აკადემიური ხარისხი. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის აღმწერზე დაყრდნობით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის და პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებების გათვალისწინებით ხდება კონკრეტული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების II საფეხურზე (მაგისტრატურაში) მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონეს და მოიცავს 6 კომპეტენციას:

ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

გ) დასკვნის უნარი- რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული;

დ) კომუნიკაციის უნარი - თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

ე) სწავლის უნარი - სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

ვ) ღირებულებები - ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ იუნკერმა შეასრულა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და მიიღო სამაგისტრო პროგრამისთვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.

მუხლი 10. ამოღებულია

მუხლი 11. დიპლომის კატეგორიები

1. უმაღლესი აკადემიური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება ყველა საგნის შეფასებათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი, რის მიხედვითაც აკადემია კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

ა) ათვისებული კრედიტების 75% A შეფასება, ხოლო 25% B ან C შეფასება – წარჩინების დიპლომი;

ბ) ყველა საგამოცდო საგანში დადებითი შეფასება - ჩვეულებრივი დიპლომი.

2. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ ითვლება დიპლომის GPA (საშუალო შეწონილი ქულა, რომელიც გამოითვლება იუნკერის მიერ სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებების კოეფიციენტზე ნამრავლების ჯამი, გაყოფილი ამავე სასწავლო კურსების კრედიტების ჯამზე.)

კოეფიციენტი	შეფასება	ქულა
4,00	A	95%-100%
3,50	A-	91%-94%
3,25	B+	87%-90%
3,00	B	84%-86%
2,75	B-	81%-83%
2,50	C+	77%-80%
2,25	C	74%-76%

2,00	C-	71%-73%
1,50	D	66%-70%
1,25	D-	61%-65%
1,00	E	51%-60%
	FX	41%-50%
	F	<40%

მუხლი 11. მაგისტრატურის დაფინანსება

1. აკადემიაში სწავლა ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბოლონიის კონვენციის მოთხოვნების, აკადემიის წესდების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.
2. აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.
3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.